№ 925 კვირა, 26 სექტემბერი 1896—1899 კვირა, 26 სექტემბერი № 925

სტამბა და რედაქცია
ტფილისი, სასახლის ქ.,
სათ.-აზნაურო ქარვასლა.

ხელის-მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართავენ რედაქციის დილის 10—3 საათამდე და საღამოს 6—9 დან „წ. კ. საზ." წიგნის მაღაზიას.

ხელ-მოუწერად წერილებს რედაქცია არ ბეჭდავს.

პირის-პირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველ დღე

ტელეფონი № 363

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ერთის თვით 60 კაპ.
თითო ნომერი 3 კაპიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე—5 კ.

Типографія и Редакція
„Цнобисъ Пурцели"
Тифлисъ, Дворцовая ул.
д. Дворянства.
Телефонъ № 363

საქართველოს ... ფურცლის ...

წლის დამლევამდე
გაზეთი „ცნობის ფურცელი"
ეღირება 2 მან. 50 კაპ.

ხალომე ონანის ასული და გრიგოლ დიმიტრის ძე ელიზბაროვნი, ეფემია დიმიტრის ასული და თევდორე ივანეს ძე ლაშქაროვნი, ანნა დიმიტრის ასული და ივანე გრიგოლის ძე მჭედლოვნი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებასა პირველი შვილისას მეორენი ძმისას და მესამენი ცოლის ძმისას

**აბრაამ დიმიტრის ძის ელიზბაროვისას**

განსვენებულის გვამს სადგომიდან (ჩუღურეთი) თ. ლაშქაროვის სახ. წაასვენებენ კალოუბნის ეკკლესიაში კვირას, 26 სექტემბერს. პანაშვიდი ყოველ დღეა, საღამოს 7 საათზე.

---

უკანასკნელი წარმოდგენა

## უკანასკნელი წარმოდგენა

ნემეცების ბაღში

კვირას 26 სექტემბერს

ქართული თეატრის აქტიორებისაგან, სცენის მოყვარეთა დახმარებით წარმოდგენილი იქნება ხელახლად შესწორებული ახალი პიესა:

I

# კინტო

კომედია 3 მოქ. აკაკისა.

მომქმედნი პირნი:

| | |
|---|---|
| ილია, ყმაწვილი კაცი | ბ. ჯაბაური |
| სალომე, ამისი ცოლი | ქ. რჩეულოვისა |
| ალექსანდრე, სალომეს ნათესავი | ბ. კანდელაკი |
| ალმასხანი, ილიას ბიჭი იმერელი | ბ. ურუშაძე |
| სამსონი, ილიას მეგობარი | ბ. ლეონიძე |
| გეო, } კინტოები | ბ. გალუსტოვი |
| თათუზა, } კინტოები | ბ. ხოსროევი |
| მანოა, } კინტოები | ბ. დიასამიძე |

მეზურნეები, არდანი და სხვა.

II

# სუსტი მხარე

ვოდევილი ერთ მოქ.

| | | | |
|---|---|---|---|
| ვასო — ბ. საფაროვი | მაშო } | | ქ. რჩეულოვისა |
| კოტე — ბ. გოცირიძე | ნინო } | მკერვალი ქალები | ქ. გავაზელისა |

III

## დივერტისმენტი და ლეკური

ადგილების ფასი 20 კაპიკიდან ვიდრე 1 მანეთამდე 50 კაპ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ.

გამგე **საფაროვი.**

---

კვირას, 26 სექტემბერს, საღამოს 7 საათზე, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია

საგანგებო

## საზოგადო კრება

ქართველთა სესხის მიცემო ამხანაგობის

## „შუამავლისა"

განსახილველია დროებითი გამგეობის მოხსენება ამხანაგობის საქმეების მდგომარეობის შესახებ.

წევრთ ამხანაგობისას ცალ-ცალკე ბარათები არ გაეგზავნებათ.

რადგანაც ეს კრება მეორეა, მიუხედავათ იმისა, თუ რამდენი წევრი დაესწრობა მას, კრება კანონიერად ჩაითვლება. (3—3)

---

## ექიმი
## გ. ს. გენცენფილდი

**ეხლახან დაბრუნდა საზღვარ-გარეთიდან.**

არჩენს ავადმყოფებს ვერენიულის (სიფილისი) და საშარდეთა სენისაგან და გარეგანი (კანის) ტკივილებისაგან (ელექტრონით).

ავადმყოფთ ღებულობს ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 6—9 საათამდე.

კუკიაში მადერის ქუჩა № 5.

---

სამკურნალო და ამბულატორია

## ს. გ. თოფურიასი

ქუთაისში.

სამკურნალოში 50 საწოლია ავადმყოფთათვის მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი,

ვადამდევ სენით ავადმყოფნი, არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგან და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს **ს. გ. თოფურია.** საქირურგო თვალების ავადმყოფობას და სიფილისს **ფ. ქ. ზერრატი.**

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი **მ. თ. ქობანი.**

ამბულატორიასთან არის კაბინეტი საქიმო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისათვის და მასაჟისათვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. გ. თოფურია

*Лѣчебница С. Г. Топурія* въ Кутаисѣ.

---

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

სამსახურს თავი დაანება კაბარდინის პოლკის პოდპორუჩიკმა თავადმა წულუკიძემ.

კოლლეჟსკი სეკრეტრობა ქ. ნუხის მიეცა პოლიციის ბოქაულს მამულაიშვილს.

კავალერიის როტმისტრი არჯევანიძე (ანტონი) დანიშნულ იქმნა ინსპექტორათ პოლიციის სტრაჟის ქალაქ ბაქოში.

---

# ახალი ამბავი

*** უკანასკნელი სახალხო წარმოდგენა ნემენცების ბაღში. დღეს, ნემენცების ბაღში გაიმართება ქართული სახალხო წარმოდგენა უკანასკნელად. წარმოადგენენ აკაკის ცნობილს პიესას „კინტოს", რომელიც ყოველთვის დიდძალ ხალხს იზიდავდა ხოლმე თეატრში, დასასრულ წარმოადგენენ მხიარულ ვოდევილს „პარიკმახერისას", შემდეგ დივერტისმენტი, რომელიც დასრულდება ლეკურით.

*** სათავად-აზნაურო თეატრის გახსნა. გუშინ ბ-ნ გუბერნატორის განკარგულებით სათავად-აზნაურო თეატრი დაათვალიერა სატეხნიკო კომისიამ, რომელმაც შესაძლოდ დაინახა კიდევ ერთის წლით ხსენებულს თეატრში წარმოდგენების გამართვა. ახლა საჭიროა, რომ გალერიიდან მეორე ხის კიბე გაკეთდეს.

ამ რიგად საიუბილეო ქართული წარმოდგენა უთუოდ დამდეგ კვირას, 3 ოქტომბერს იქნება გამართული.

† *** აბრამ ელიზბარაშვილი. დღეს ასაფლავებენ უდროვოდ მოწყვეტილ ამ წუთის სოფლიდან, ახალგაზდა ყმაწვილ-კაცს აბრაამ ელიზბარაშვილს, რომელიც სწორედ დღეის სწორს გარდაიცვალა

ტფილისში სამი თვის მძიმე ავადმყოფობის დროს.

აბრაამ ელიზბარაშვილი ჯერ სრულებით ყმაწვილი კაცი და ხელობად ვაჭრობა ჰქონდა არჩეული. იგი საოცარის გულ-მტკივნეულობით და მისაბაძის თანაგრძნობით ხელს უწყობდა ძალ-ღონისა და გვარად ყოველსავე კეთილ' დასაწყისს ჩვენში.

ბუნებით კეთილი და პატიოსანი განსვენებული პატარაობიდანვე გაერთო 'განათლებულ ყმაწვილთა შორის განსაკუთრებით იგი დაუახლოვდა ქართულს თეატრს, რომლის საუკეთესო წევრებს იგი მუდმივ ძალ-ღონისა და გვარად პატივსა სცემდა ხოლმე. საზოგადოდ აბრაამ ელიზბარაშვილი ეკუთვნოდა იმ ახალგაზდა ვაჭრებს, რომლებმაც უნდა შექმნან ჩვენი მომავალი ალებ-მიცემობა. იგი ვაჭრობდა სათავად-აზნაურო ქარვასლაში.

ამიტომ აბრაამ ელიზბარაშვილის სიკვდილმა ყველას გული დასწყვიტა და დღეს ბევრი ცხარე ცრემლი დაიღვრება მის ტოლ-ამხანაგებისა და მის მრავალ ნაცნობებთაგან.

ღმერთმა საუკუნო და წმინდა სასუფეველი დაუმკვიდროს ახალგაზდა პატიოსან და კეთილ გრძნობებით სავსე პატარა ქართველ ვაჭარს აბრაამ ელიზბარაშვილს.

*** **გზათა მინისტრი ხილკოვი** როგორც მკითხველებს შეატყობინეთ გზათა მინისტრი თავ. მ. ი. ხილკოვი ჩამობრძანდა ქალაქში გუშინ-წინ, საღამოს 7 საათზე და ჩამოხტა „ლონდონის“ სასტუმროში. მისი ბრწყინვალება აქედან პირდაპირ აპირებდა წაბრძანებას ბაქოში, იქიდან კასპის ზღვის იქით ქვეყნებში, მაგრამ ისურვა დაათვალიეროს ყარსის რკინის გზის ის ადგილი, სადაც ეხლახან დიდი უბედურება მოხდა და ამ უბედურებამ რამდენიმე ადამიანი იმსხვერპლა.

გუშინ 25 ამ თვეს მისი ბრწყინვალება ხილკოვი წაბრძანდა ამ ხსენებულ ადგილის დასათვალიერებლად, საიდანაც დაბრუნდა იმავე დღეს.

ყარსის რკინის გზა ამ ცოტა ხანში უნდა ჩაბარდეს, უმაღლესი მთავრობის განკარგულებით კავკასიის რკინის გზის გამგეობას.

*** **ქალაქის რიყის გამაგრება.** მკითხველებმა იციან, რომ ქალაქის რიყე მტკვრის ადიდების დროს წალეკილია ხოლმე წყლისაგან. ამ საქმეს ბ. გუბერნატორის განკარგულებით, ქალაქის უპრავის გამგეობა შეუდგა დახმარება აღმოუჩინოს. 23-ს ამ თვეს შესდგა კომისია უპრავის წევრის თავ. ვ. ჩ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით. კომისიაში მონაწილეობას იღებენ გუბერნიის ინჟინერი ბუტკევიჩი და არქიტექტორი ტრონოვი. კომისიამ გარდასწყვიტა ერთ ადგილას გასთხაროს დიდი რუ სადაც გზა მიეცეს წყალსა. ამ რუს გათხრას, კომისიის ანგარიშით მოუნდება 8000 მანეთი.

კომისიას იმედი აქვს, რომ დღეის იქით რიყის მცხოვრებლებს დაიხსნის იმ გაჭირვებისაგან, რომელსაც მათ მტკვარი მიაყენებს ხოლმე ადიდების დროს.

*** **რთველი კახეთში.** კახეთში რთველი თითქმის ყველგან გათავებულა და მოსავალი ძალიან კარგია. ღვინო ფასობს ეხლა ადგილობრივ 100 მანეთად. იმედია წელს ღვინოები გაიაფდება.

*** **გურიაში მიცვალებულზე ტირილის მოსპობაზე დაარსებული წრე.** გურიაში დაარსდა რამდენიმე პირისაგან წრე, რომელიც ცდილობს, წასაბურით არ იტირონ და არც აჭამონ ხალხს ალაპი და მით იხსნან მეზობელნი უპრალო და უსარგებლო ხარჯისაგან და ისე უხარჯოთ მიაბარონ მიწას მიცვალებული. ასეთი ამბავი თუმცა აოცებს მკვიდრთ, მაგრამ მგონია სულ მალე გადაიცდებიან და იგრძნობენ თავიანთ ცთომილობას.

წელს შემოქმედში ა. დ-ძეს მოუკვდა მეუღლე. დაადგა წრის აზრსა, უწასაბუროთ იტირა და მატირალთაც სადილი არ აჭამა, ბევრი აღელდა.. ლანძღავდენ ქირისუფალს „როგორ დაავსო ღმერთმა თავის თავი“, იძახდენ ზოგიერთი უსადილო მატირალნი, „როგორ გაფუჭდა მისი თავი, რომ ერთი ჭიქა ღვინო შესანდობელი არ დაალევინა მეზობლებსა, როგორ ცხონდება მისი კვდარიო!“.

იმედია კ. ა. დ-ძეს ბევრი მიბაძავენ: არც წასაბურით და არც სხვა უბრალო ხარჯით იტარებს თითოეული ქირისუფალი და ისე უხარჯოთ მიაბარებს თავის მიცვალებულს მიწასა.

აპრაკიპა.

*** **ახალი წიგნი.** დაიბეჭდა და მალე გასასყიდათ გამოვა იოსებ იმედაშვილის მიერ გამოცემული „ცხოვრების სარკე“ (პიესების კრებული) სახსოვრად ქართული სამუდამო სცენის ოცის (1879—1899) წლისა, რომელშიაც მოთავსებულია: „უნდა გავიყარნეთ“ კომ. 3 მოქ. ვ. აბაშიძისა; 2, „ადვოკატი მელაძე“ კომ. 2 მოქ. ივ. მაჩაბელისა; ცოლ-ქმრობის წინააღმდეგ, ვოდ. 1 მოქ. დ. აწყურელისა; „დედაკაცის ცნობის მოყვარეობა (ადამ და ევა)“ კომ. 2 მოქ. დ. მესხისა; „დატრიალდა ჯარა“ ვოდ. 1 მოქ. კოტე ყიფიანისა; ხასცენო ლექსები, სასიმღერო კუპლეტები, შეშლილი (სასიმღერო სცენა), „რა მასმევს ღვინოს“ (კინტოს ალსარება) ა. ახნაზაროვისა, ბ. დავითაშვილისა და სხვათა; თეატრი და ქართული სცენის მსახიობ-მოღვაწენი (წერილი პირველი); სათამაშოთ ნება დართულ პიესების (რაც ამ ოციოდე წელიწადში დაწერილა და გადმოუთარგმნიათ) სია და სხვა. წიგნში ჩართულია სურათები ვ. აბაშიძისა, ბ. ავალიშვილისა, ვლ. ალექსი მესხიშვილისა, კ. მესხისა კ. ყიფიანისა, მ. მ. საფაროვ-აბაშიძისა, ნ. მ. გაბუნია-ცაგარლისა (მათის მოღვაწეობის აღწერით) წიგნი გასასყიდათ გამოვა ქართული თეატრის 20 წ. იუბილეის გამართვას წინა დღით. წიგნი შეიცავს 240 გვ., დიდის ზომისაა ღირს 60 კაპ.

*** **ს. გოგნი** (ზემო იმერეთი). **ერთნაირი ურიგობის გამო.** სოფ. გოგნი მდებარეობს შორაპნის მაზრაში და შეადგენს ნაწილს ჩხარის საზოგადოებისას ეს სოფელი შესდგება არა ნაკლებ 150 მცხოვრებლებისაგან, რომლებიც მეტად პატიოსანნი და თანამგრძნობნი არიან ყოველივე კეთილი საქმისა. ამ ხუთი-ექვსი წლის წინათ, ამ სოფელში განაახლეს ქვის ეკკლესია, რომლისთვის, სიღარიბის გამო, დღემდე ვერ გაუკეთებიათ სამრეკლო და გალავანი, რის გამოც ყოველგვარი პირუტყვი ეკკლესიის ირგვლივ მეტის-მეტ უსუფთაობას აყენებს და მით ხალხს წირვა-ლოცვის დროს ათასგვარი სიბინძურე შეაქვთ ფეხებით, რითაც ჩვენი ეკკლესია უფრო უბრალო სახლს ემგზავსება ვინემ ღვთის სალოცავ ტაძარს. არავინ ყურადებას არ აქცევს, რომ ეს უსუფთაობა ეკკლესიას ააშორონ და გალავანი გაუკეთონ, რომელსაც თუ ადგილობრივი მღვდელი, ბლაღოჩინი, სტაროსტა და ადმინისტრაცია მოინდომებენ, სულ ადვილად გაკეთდება და მით ეკკლესია ასცილდება უსუფთაობას, რაიცა დღეს აყენია. ეს მით უფრო ადვილი მოსახერხებელია, რომ თვით მრევლიც ამა ეკკლესიისა გრძნობს სინაკლულეს ეკკლესიისას და არ დაიშურებენ მცირეოდენ ხარჯს მისდა გასამშვენიერებლად. ამასთან არ შევვიძლიან არ შევნიშნოთ ის დიდი ნაკლი, რაიცა ამა ეკკლესიის მრევლთ მოუფიქრებლობით მოსდით. ყველამ კარგად ვიცით, რომ სოფლებში მიცვალებულებს ეკკლესიის გალავანში ასაფლავებენ და ზედაც უზარ-მაზარ ლოდებს ადებენ. ასეთივე ლოდებით გავსებულია ჩვენი ეკკლესიის სასაფლავენე ადგილი, სადაც გავლა შეუძლებელი არის, ამ უკანასკნელათ ასეთი ლოდები ეკკლესიის კარებთანაც ამართეს და მით ეკკლესიაში შესვლა გასაჭირი შეიქნა. ყველა ამაების ასაცილებლად, თუ მაინცა და მაინც სხვა ადგილას არ გადაიტანენ სამარხს, რაიცა ყველაზე უმჯობესი იქნება, იმ შემთხვევაში საფლავებს ეკვტერი მიწის პირათ უნდა გაუკეთონ, რომელიც არც გალავანს დააუშნოვებს და გავლის დროსაც ფეხს არავინ მოიტეხს, რომელიც დღეს ისე ხშირია, რომ ყოველ საღამოს ლოცვის დროს თითო ფეხ-მოტეხილი ბრუნდებიან თავიანთ სახლში.

მღვდელი სცხოვრობს ამა ეკკლესიაზე დაშორებით 20 ვერსზე, რომელიც, ხშირად კვირა-უქმე დღეს გარდა, ველარ ჩამოდის თავის მრევლში, რის გამოც ბევრი უზიარებელნი დ უნათლავნი იხოცებიან.

მათე ჩობაქიძე.

*** **ს. სუჯინა** (სამეგრელო). **კონკურენციული გამოფენის გამო.** მოგეხსენებათ, რომ ამ სექტემბერში ქ. ქუთაისში და სოხუმში კავკასიის სამეურნეო საზოგადოების განყოფილებამ კონკურენციული გამოფენა გამართა ადგილობრივ ნაწარმოებისა. ამ გამოფენაზედ ყოველს სოფლელს უფლება ჰქონდა, რომ თავისი ნაწარმოები წარედგინა ესპროკდათ, სადაც ჯერი იყო, მაგრამ საუბედუროდ, ჯერ-ჯერობით ჩვენი ხალხი იმდენად როდია შეგნებული და წინ დახედული ამ საქმისა, რომ ესმოდეს, რა არის კონკურენციული გამოფენა და რას ნიშნავდეს იგი. ვიმეორებთ, არ იციან-მეთქი, თვინიერი გაზეთის მკითხველებისა არც ის იციან აჯილდოვებენ თუ არა კარგ მწარმოებელსა.

უკე თუ იციან, აბა რატომ ხდება, რომ ათასში ორსაც არ გაუგზავნია ჩვენს მწარმოებელს სამეგრელოდან? დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყოველივე ეს ჩვენს ხალხს გამოუცდელობით მოსდის, თორემ, როგორც საქართველოს სხვა და სხვა კუთხიდან, სამეგრელოდანაც ბევრი ესპრონტავდი იქნებოდა. მართალია, სამეგრელოს ზოგიერთი კუთხეებიდან თითო-თითო ადგილობრივი ნაწარმოები გაგზავნეს, მაგრამ გამგზავნელს კი როდი ეკუთვნოდა ან და თვისი ნაშრომ-ნაამაგარი როდი იყო, არამედ სხვისა, სხვისი მოწეული იყო ვითომ მისი ბალ-ბაღჩაში ყოფილიყოს მოწეული. ამ გვარი სასაცილო ამბების მოწმე გახლდით ს. სუჯინაში (სა-

ეგრელოში) იქაური ნორმალური სკოლის მასწავლებლისა, რომელმაც იკადრა ამ გვარი საქციელი. თითონ რომ ბალ-ბაღჩა არა ონდა, თავის მოსწავლეებს უბრანა, რომ კარგი და არჩეული ილ-ბოსტანი მოეტანათ. ვინც-კი არგს მოიტანდა, იმას თავისი მასწავლებელი „მალადეც, ტი ხარო-ი უჩენიკსა“-ც ეტყოდა. ამ გვარად, მასწავლებელმა მოკრიფა ოსწავლეებისაგან მოტანილი ხი-, აარჩია და გაგზავნა საკონფენციო გამოფენაში. რა თქმა ა ამ გვარი ხრიკებით ეს მასწავლებელი ან ქების ფურცელს, ა მედალს მაინც მიიღებს. ამა-ა არის მეგრული ანდაზა ნათქვამი: „სხვისი პურ-მარილით ღმერთა ჩემი მიცვალებული აცხოვ-ს“-ო. აქედან ყოველივე ნათლად სჩანს, რომ თუ მართლა ვინმე სოფლელმა თავისი ნაწარმოები გზავნა ე. ი. თავისი ბაღ-ბაღჩამოწეული. იგი ვერაფერს მადლობას მიიღებს, რადგანაც ერ-ს სულითა და გულით აქვს გაგვნილი და არა ზემო თქმული იკებით ხოლო „ჩინ-ქების ფურლის“ მოყვარული მასწავლებელი აღწევს თავის საწადელსა. ჩემის იქრ-აზრით, მოვა დრო და ამ კარს ხრიკებსაც, რასაკვირველია ახდება ფარდა. ხოლო ჩამდვილ უშას კი დაუფასდება თავისი ნაამედარი...

ისევ მე ვარ.

*** **სამეგრელო.** დიდი ქარების ამო. ეს მეოთხე დღეა, რაც სამეგრელოს დაუძინებელი გამაპარახებელი აღმოსავლეთის გიჟ-მაჟი დიდი ქარები ჰქრის დღე-დაამე განუწყვეტლივ. ამ მოულოდნელმა ქარებმა დიდი ზარალი მიაყენა ჯერ მოუწეველს სიმინდებსა. ისე მიანტვრ-მოანტვრია ქირიანად, რომ თავი და ბოლო არ უჩანს სიმინდის ღეროებს, ფოთლები შემოაცალა და ცარიელი ღერო, ზოგი წაქცეული და ზოგი დამტვრეული. მუშა-კაცი სასო-წარკვეთილი გაიძახის: „ჩალა რომ გაახრ-გაატიელა, წყეულმა ქარმა, საქონელი რითი გამოვკვებოთ“-ო. არც ჯერ მოუკრეფავს ყურძენს დააყარა ხეირი. ეხლა იყო აქეთ ყურძნის კრეფა და ვინც დროზედ ვერ მოასწრო კრეფა, სულ ხელი დააბავინა წელს ღვინოზე. ამ გვარად, მოულოდნელმა ქარმა ყველას დიდი ზარალი მისცა. არ გადურჩა აგრეთვე ისლით დახურული სახლები, ზოგიერთებს სახურავები ჩამოაცალა...

ტელეფონი

## უხორცო საჭმლების მომზადება.

ნაწილი მეორე

წვნიანს შემდეგ მოსატანი საჭმელები ესე იგი მეორე ბლუდები.

შემდეგი *)

75. **გოგრის მხალი.** აიღეთ შუათანა გოგრა გასჭერით ოთხად, თესლი და გული მოაშორეთ ჩააწყეთ ქვაბში მოხარშეთ, როცა მოიხარშება ამოიღეთ გაფცქვენით (ქერქი გააცალეთ) დააწყეთ ტაბაკზედ, დაკეფეთ ასტამით, შიგ გაურიეთ დამბალი შინდის ჩურჩა, წმინდათ დაჭრილი ხახვი და ნიგოზი, ყველა ეს მასალა კარგათ აურიეთ ერთმანეთში, გაუსწორეთ მარილი ჩადეთ ტაფაში მოშუშეთ, როცა მოიშუშება ამოიღეთ მათრათზედ ისე მიიტანეთ სუფრაზე.

76. **გოგრის გუფთა.** გოგრა მოამზადეთ ისე როგორც ზემოთ ვსთქვი, მერე გოგრა ხელით ჩაშალეთ (დაფხვენით) შიგ უყავით ერთი მუჭა შინდის ჩურჩა წმინდათ დაკეფილი, გაუსწორეთ მარილი, დაარგვალეთ კაკლის ტოლ ტოლათ, გააგორეთ წმინდა ფქვილში, ტაფაში გააცხელეთ ერბო ან ზეთი, რიგზედ ჩააწყეთ გუფთები და მოხრაკეთ, როდესაც გარეშემო კარგათ მოიხრაკება (შეწითლდება) მაშინ გუფთა მზათ იქმნება, ამოიღეთ მათრათზედ და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.

77. **გოგრის სთუზი.** აიღეთ ერთი საჭმელი გოგრა ნახევარი დასჭერით შუა-შუა, გული და თესლი გამოაცალეთ, ქერქი მოაშორეთ (გაფცქვენით), ჩაყარეთ ქვაბში წვრილად დაჭრილი, დაასხით წყალი ასე რომ გოგრას ნახევრათ შემოადგეს, ხარშეთ ნელა-ნელა სანამ მოიხარშებოდეს (ჩაიშლებოდეს ქვაბში) დრო გამოშვებით ხის კოვზით ურიეთ, რომ გოგრა არ მიიწვას, როცა კარგათ მოიხარშება და წყალი ცოტათი დააშრება, მაშინ უყავით სამა კოვზი ერბო, გაუსწორეთ მარილი და ერბოში კარგათ მოშუშეთ, მხოლოდ ერბოს ჩადებამდისინ, გოგრა ამოზილეთ კარგათ ხის კოვზით, რომ სულ ერთიანად გაერთდეს და ნაჭრები აღარ ეტყობოდეს. როდესაც მომზადდება ამოიღეთ მათრათზეთ და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.

78. **შემწვარი გოგრა შინდის ჩურჩით და ხახვით.** აიღეთ ტკბილი საჭმელი გოგრა, ამოსჭერით ზემოთა პირი ხუფივით; თესლი და უვარგისი გული ამოიღეთ, აიღეთ ხახვი დასჭერით წმინდათ ერთ მათლაფამდისინ ხახვში აურიეთ ნახევარი მათლაფა წმინდათ დაკუწული შინდის ჩურჩა, უყავით ქინძი, კამა, მარილი, პილპილი ეს მასალა სულ ერთმანეთში აურიეთ, მერე ჩაყარეთ იმ გოგრაში, ზემოდამ დააფარეთ თავისივე ხუფი, ჩადგით ნელ-თბილ თონეში, გარეშემო და ზემოდამ მოაყარეთ ცხელი ნაცარი და ნაკვერჩხალი, თონეში იმდენი სიცხე უნდა იყვეს, რომ გოგრა ერთი საათის განმავლობაში უნდა შეიწვას, როდესაც შეიტყობთ, რომ გოგრა შემწვარაო *) მაშინ ამოიღეთ სინზედ, აჰხადეთ ხუფი კოვზით ამოიღეთ მთლად გული თავის შემწვარით და ისე მიიტანეთ სუფრაზედ.

ნატალია დარეჯანაშვილისა.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. «ცნ. ფურც.» № 925

*) შემწვარს გოგრას შეატყობთ ამ ნიშნებით: შემწვარი გოგრა უშვებს მშვენიერ სუნს, ასე რომ იმისი მშვენიერი სუნი, კაცს შეუძლიან გაიგოს ყნოსვით ას საჟენზედ.

## ყურმოკრული საუბარი

კაპასი ცოლი ავადმყოფ ქმარს წამალს აძლევს და თან არწმუნებს:

— აქვე ღმერთმა გამაქროს, თუ გატყუებდე და ამ წამალმა არ გარგოს!

— არიქა, მალე მომე წამალი! ორსავე შემთხვევაში ჩემთვის სასარგებლო იქნება, ან მოვრჩები, ან შენ გაქარწყლდებით.

***

— ვის უფრო მალე ივიწყებენ?— ჰკითხა ერთმა მეორეს.

— მდიდარს სიცოცხლეში და ღარიბს სიკვდილის შემდეგაო.

## რჩეული აზრები

✦ იშვიათობა ხშირად გვაშინებს და გვაბრკოლებს, რის გამო ბევრს რასმე ვკარგავთ.

✦ როცა ჩვენ შევეჩვევით საზრდს და გასჯას, მხოლოდ მაშინ-და დავიმორჩილებთ ჩვენს ენას.

✦ სადაც სიამოვნება და ბედნიერება მაღლა ხითხითებს, იქ წყენა და ცრემლიც არა ჩუმია.

✦ ნურავისზე ნუ ეძიებ შურს წყენისათვის, წყენა თვითვე დასჯის მწყენებელს.

# წვრილი ამბავი

ლონდონის ქუჩებში მყუდროების დარღვევა. ლონდონის ქუჩებში დიდის მოძრაობის გამო საშინელი ხმაურობა და აღიაქოთია. თვით ლონდონელნი შეჩვეულნი არიან ამ ხმაურობას და არაფრად აგდებენ, მაგრამ უცხო კაცს ისე ეხამუშება, რომ გული უღონდება. ბევრი უცხოელი ერთ დღესაც ძლივს სძლებს თურმე ლონდონში, მეორე დღესვე სხვა რომელიმე ქალაქში გარბის. ეხლა მოუწადინიათ, ბოლოს მოუღონ ამ უზომო ხმაურობას, ან დ... შეასუსტონ მაინც. ამ აზრით დაარსებულა რამდენიმე საზოგადოება. თვითეულ საზოგადოებას ერთი რომელიმე საქმე აქვს მიჩემებული. ერთს, მაგალითად, აზრადა აქვს ებრძოლოს გაზეთების მყვირალა დამტარებლებს და, ასე თუ ისე, ეს ვაჟბატონები გადააჩვიოს ყვირილს, მეორეს უკისრია გაწვრების ყვირილისაგან გადაჩვევა. აზრადა აქვთ ესრედ წოდებულ „შარმანწიკებსაც“ აუკრძალონ ქუჩა-ქუჩა სიარული და თავიანთის მუსიკით ხალხის დატკბობა.

# დეპეშები

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»).

**ნიში.** სკუპშჩინა გახსნილ იქმნა დღეს თითონ ალექსანდრე მეფის მიერ. მის მიერ წარმოთქმულ სეფე სიტყვაში ნათქვამია, რომ სერბიის დამოკიდებულება სხვა უცხო სახელმწიფოებთან სრულიად ეთანხმება სერბიის მეცადინეობას მშვიდობისა და ცივილიზაციის წარმომადგენელ იყვეს ბალკანეთზე და საუკეთესო დამოკიდებულება იქონიოს მეზობელ სახელმწიფოებთანო.

**ლონდონი.** როგორც ისმის, სახაზინო კანცლერს გადაუდვია ომისათვის მოსამზადებლად სამი მილიონი გირვანქა სტერლინგი. მთავრობას არ შეუძლიან ამაზედ მეტის დახარჯვა საზოგადოებათა პალატის ნება-დაურთველად. სამხედრო მთავრობამ განკარგულება მოახდინა ნატალში თავ დაცვისა და მისვლა-მოსვლის უზრუნველყოფის შესახებ.

**პრეტორია.** საეროვნო კრების დღევანდელს სხდომას დაესწრო მხოლოდ 140 წევრი. თავმჯდომარემ აუწყა კრებას, რომ ეხლანდელს საქმის გარემოების დროს საეროვნო კრებამ უნდა შესწყვიტოს სხდომები დროებითო. პრეზიდენტმა კრიუგერმა სიტყვა წარმოსთქვა, რომელშიაც სთქვა, რომ ღმერთია მოწმე, ყველაფერში თანახმანი ვიყავით უიტლანდიორებისათვის მოქალაქობრივი უფლებანი მიგვენიჭებინაო, მაგრამ მათ არ მოისურვეს ესო. თუ შესამჩნევი შემთხვევები მოხდა, რესპუბლიკა მართალია, და ღმერთი იქმნება მისი მშველელიო.

ფალკსრესტიდგან იუწყებიან, რომ ტრანსვაალის მიერ მიცემული ვადა ჯარების უკან დახევად ინგლისს უთავდება დღეს საღამოს ხუთ საათზე. ... მანამდის დაკმაყოფილება არ იქმნა ტრანსვაალის მოთხოვნილება, იგი შეუდგება საომარს მოქმედებასო.

**ლონდონი.** „Daily Telegraph“-ს დეპეშით ატყობინებენ, რომ ღამით ბურებმა დაიპყრეს ლენგონი და კარგა მოზრდილი ჯარით გაჩერდნენ მთაში, სამხრეთ-დასავლეთისაკენ ფოლკსრუსტიდგან. დღეს ბურებმა საზოგადოთ წინ წამოიწიეს არტილერიით. კორესპონდენტს გაუგონია, რომ ხვალ მახოვა დაჭერილი იქმნებაო, ლედი-სმიდის იქით ინგლისის ჯარები სრულებით არ ყოფილა. ინგლისელები ემზადებიან დასცალონ ნატალი საზღვრებიდგან ლენკოლამდე. გენერალი სიმონსი ემზადება დასცალოს ნიუკესტლი 24 საათში.

**პეტერბურგი.** სამხედრო-იურიდიულ აკადემიის პროფესორი, სამოქალაქო უფლების პროფესორი, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკი გოლმსტენი დანიშნულ იქმნა იმავე უნივერსიტეტის ორდინარ პროფესორის თანამდებობის აღმასრულებელად და ოთხის წლის ვადით რექტორად.

**კიევი.** ნაშუადღევის 1 საათზედ ცარსკოე სელოს ბექობზედ მოკლულ იქმნა დანით, რომელიც გულში აქვს მოხვედრილი, ადგილობრივ-ბოლოლოდრი მცხოვრები ვასილიევი, 29 წლისა, საეჭვო კაცთაგანი. მკვლელს არავინ იცნობს; იგი გაიქცა და დაიმალა. პოლიცია გულ-მოდგინედ დაეძებს.

**პარიზი.** გარეშე საქმეთა მინისტრმა დელკასსემ დღეს საუზმე გამართა რუსეთის მინისტრის გორებიკინისა და ფოსტათა და ტელეგრაფის მთავარ-სამართველოს უფროსის პეტროვის პატივსაცემლად. საუზმეს დაესწრნენ საბჭოს პრეზიდენტი ვალდეკ-რუსსო, რუსეთის რწმუნებული ნარიშკინი, მთავარ-კონსული კარცევი და მრავალნი სხვა წარჩინებულნი.

## რედაქციისაგან

**ყვირილაში** ალ. არაბიძეს. თქვენი წერილი ვ. ხხეიძეს შესახებ ვერ იბეჭდება, რადგან სრულიად საკმარისია, ვგონებთ ის წერილები, რომელნიც დაიბეჭდება «ცნობ. ფურც.» თქვენი მეტოქეს დასასურათხატებლად.

**ოჩამჩირეში** ოდიშელს. თქვენი «სტატია» ვერ იბეჭდება.

**ზენანში** ნოქარს. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება.

**ნიგოითში** ერმაშვილს. თქვენ წერილი ვერ იბეჭდება.

**აბაშაში** ვინც უნდა ვიყოს თქვენი წერილი ბ-ნ ტელეფონის შესახებ დასაბეჭდად ყოვლად მოუხერხებელია.

**ლეჩხუმში** დამსწრეს. თქვენი წერილი ვერ იბეჭდება.

**ტფილისში.** სერგო კაპანაძეს თქვენი წერილის დაბეჭდვა მოუხერხებელია.


კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის ნებართვით
გაიხსნა ქალაქ ფოთში
„საბუღალტერიო კურსები“
მსურველები მიიღება ორივე სქესისა, არა ნაკლებ 16 წლისა. სწავლა გაგრძელდება ერთი წელი და ორი თვე. მთელი კურსის შესწავლა ღირს ასი მანათი.
სწავლა დაიწყება ორს ოქტომბრიდან.
კურსებზედ ასწავლიან:
1, საკომერციო არითმეტიკას შინაგან და გარეგან ვაჭრობისათვის.
2, ბუხგალტერიას მარტივს, ორკეცს და ამერიკულ სისტემისას.
3, საკომერციო ეკონომიას.
4, სავაჭრო და სავექსილო წესდებულებას.
5, საკომერციო კორრესპონდენციას.
6, სუფთა წერას და გაკრულ ხელს.
პროგრამმის და პირობების გაგზავნა შეიძლება პირველ მოთხოვნისათანავე.
კურსების დამაარსებელი გ. მ. გიგინეიშვილი.
(10—5)

წიგნის მაღაზია
მიხეილ ბარეჯილაძისა
დ. ყვირილაში მივიღეთ ახლად რუსული და ქართული სახელმძღვანელო წიგნები სამრევლო და სამინისტრო სკოლებში სახმარებლად.
აგრეთვე გვაქვს დამზადებული დიდძალი რვეულები საუკეთესო ქაღალდზე დახაზული ქართულის და რუსული წერისათვის.
ყოველივე სამოსწავლო საგნებს ვყიდით ძალიან დაკლებულ ფასად განსაკუთრებით იაფად უთმობთ სოფლის მასწავლებლებს.
(10—10)

მ. თავართქილაძეების წიგნის მაღაზიებში არის დანიშნული 20 აგვისტოდან, 20 სექტემბრამდის
იაფი ვაჭრობა
იაფად იყიდება ყოველივე სასწავლო და სახელმძღვანელო წიგნები, რვეულები და განსაკუთრებით ქართული საკუთარი გამოცემანი.
ძმათა თავართქილაძეებისავე სტამბებში, იყიდება ერთი ნახმარი სტამბის დაზგა (Станокъ) 100 მანეთი.
იქვე ისყიდება 24 ცინკის „კლიშე“ „ვეფხის ტყაოსანის“ სურათებისა, სათაურით, სულ 50 მანეთი. (20—14)

განცხადებანი

გვსურს რა უფრო გავაფართოვოთ ჩვენი სამანუფაქტურო ვაჭრობა, რომელიც ამ ჟამად სწარმოებს ყარსსა და ალექსანდროპოლში ჩვენ ამ წლის აგვისტოდან ხელ ახლად გავხსენით
სამანუფაქტურო სავაჭრო
ქ. ტფილისში, სიონის ქუჩაზე ანანოვის ქარვასლაში 1, 2, 3 და 4 №№.
იქვე საქონლის საწყობი გვაქვს შემდეგის ფირმით:
ძმათა ა. მ. და ს. ბაღდასაროვებისა. (10—10)



მოსკოვის სავაჭრო სახლი
მ. ლ. როზენბლატ და შვილის
ეს ფირმა საკმაოდ ცნობილია მთელს კავკასიაში და ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მან გახსნა განყოფილება
ტფილისში სასახლის ქუჩაზე, სათავადაზნაურო ქარვასლაში,
სადაც ისყიდება
ჯიბისა, კედლისა და გამაღვიძებელი საათები
Отдѣленіе Московскаго Торговаго дома
М. Л. Розенблатъ и С-нъ
въ Тифлисѣ, Дворцовая ул. д. Дворянст.
(10—10)

КУРСЪ БУХГАЛТЕРІИ,
состоящій изъ слѣдующихъ предметовъ:
1) Бухгалтеріи двойной итальянской по разнымъ отраслямъ торговой и[...]мышленности,
2) Коммерческой ариѳметики (банковыя и торговыя операціи),
3) Ариѳметики на счетахъ.
4) Коммерческой экономіи,
5) Торговыхъ и вексельныхъ узаконеній.
преподаетъ И. Я. БРОНЪ-ФОНЪ-БРЕННЕРЪ, препод. тифлисскихъ учебны[хъ] заведеній.
Плата за весь курсъ 60 руб.
Курсъ 3-мѣсячный, при ежедневныхъ занятіяхъ въ теченіе 2-х[ъ] часовъ, по вечерамъ. Начало занятій— 1-е число каждаго мѣсяц[а].
За успѣшныя занятія лучшія аттестаціи отъ учебнаго начальст[ва].
Составленная И. Я. Бронъ фонъ-Бреннеръ книга «Коммерческая ариѳ[ме]тика» содержитъ въ себѣ VII отдѣловъ: 1) ариѳметич. вычисленія на счета[хъ], 2) монетныя вычисленія, 3) товарныя сдѣлки, 4) вексельныя операціи, 5) [тор]говыя товарищества, 6) банки и ихъ операціи, 7) биржевыя операціи (520 [зад]ачъ и таблицы). Цѣна 2 руб. Продается во всѣхъ книжныхъ магазинахъ [и у а]втора: Михайловская ул., № 71.
(100—88)


Дозволено цензурою 25 Сентября 1899 г. (ტფ. ქარ. ... ) ... რედაქტორ-გამომცემელი მ. ბურ...